

სს „ლიბერთი ბანკის“ ნომინაციისა და კორპორაციული მართვის კომიტეტის დებულება

წინამდებარე დებულება განსაზღვრავს სს „ლიბერთი ბანკის“ (შემდგომში „ბანკი“) ნომინაციისა და კორპორაციული მართვის კომიტეტის (შემდგომში „კომიტეტი“) მუშაობის ძირითად პრინციპებს, მიზნებს, ფუნქციებს, უფლებებსა და ვალდებულებებს და „ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს (შემდგომში „სამეთვალყურეო საბჭო“) მიერ „კომიტეტზე“ დელეგირებულ უფლებამოსილებას, გაუწიოს მონიტორინგი „სამეთვალყურეო საბჭოსა“ და „ბანკის“ მენეჯმენტის (შემდგომში „მენეჯმენტი“) შემადგენლობის, წევრების დანიშვნის, უფლებამონაცვლეობის, როტაციისა და ეფექტურობის საკითხებს, ასევე უზრუნველყოს „ბანკის“ კორპორაციული მართვის ზედამხედველობა.

1. წევრობა

- 1.1. „კომიტეტი“ წარმოადგენს დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს და ანგარიშვალდებულია „სამეთვალყურეო საბჭოს“ წინაშე. „კომიტეტი“ შედგება არანაკლებ 3 (სამი) წევრისგან, რომლებიც იმავდროულად არიან „სამეთვალყურეო საბჭოს“ წევრები.
- 1.2. „კომიტეტის“ თავმჯდომარე (შემდგომში „თავმჯდომარე“) იმავდროულად არ უნდა იყოს „სამეთვალყურეო საბჭოს“ ან/და რომელიმე სხვა კომიტეტის თავმჯდომარე. „თავმჯდომარის“ ან/და მისი მოადგილის არყოფნის შემთხვევაში, „კომიტეტის“ დანარჩენი დამსწრე წევრები ერთ-ერთ დამსწრე წევრს ირჩევენ სხდომის თავმჯდომარედ;
- 1.3. „კომიტეტის“ სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ მხოლოდ „კომიტეტის“ წევრებს. მიუხედავად ამისა, აუცილებლობის ან მიზანშეწონილობის შემთხვევაში, „თავმჯდომარის“ თანხმობით, სხვა პირები შესაძლოა მიწვეულ იქნან სხდომაზე ან მის ნაწილზე დასასწრებად;
- 1.4. იმ შემთხვევაში, როდესაც „კომიტეტის“ მიერ განსახილველი საკითხები შეიცავს ისეთ საკითხს, რომლის მიმართაც „კომიტეტის“ წევრს გააჩნია დადასტურებული ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი, ასეთი წევრი არ იღებს მონაწილეობას მასთან დაკავშირებული საკითხის განხილვაში ან/და გადაწყვეტაში და შესაბამისად, აღნიშნული წევრის ხმა არ იანგარიშება „კომიტეტის“ სხდომაზე კვორუმის დათვლისას.

2. „კომიტეტის“ სხდომა და ხმის მიცემა

- 2.1. „კომიტეტის“ სხდომა უნდა გაიმართოს არანაკლებ წელიწადში ორჯერ. გარკვეულ შემთხვევებში „კომიტეტის“ სხდომა შესაძლოა მოწვეულ იქნას „სამეთვალყურეო საბჭოს“ მიერ;
- 2.2. სათანადო წესების დაცვით მოწვეული „კომიტეტის“ სხდომა, რომელზეც შემდგარია კვორუმი, უფლებამოსილია განახორციელოს მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობები. „კომიტეტის“ მიერ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო კვორუმი განისაზღვრება არანაკლებ კომიტეტის წევრთა რაოდენობის ნახევარზე მეტით. „კომიტეტი“ გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. წევრებს შორის ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გამამწყვეტია „თავმჯდომარის“ ხმა;
- 2.3. „კომიტეტის“ სხდომა მოიწვევა სხდომის მდივნის (შემდგომში „მდივანი“) მიერ, „კომიტეტის“, ან „მენეჯმენტის“ რომელიმე წევრის მოთხოვნის საფუძველზე;

- 2.4. თუ სხვა რამ არ არის შეთანხმებული, „კომიტეტის“ სხდომის მოწვევის შესახებ შეტყობინება უნდა გაეგზავნოს თითოეულ წევრს ასეთი სხდომის გამართვის თარიღამდე არანაკლებ 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე;
- 2.5. შეტყობინებები, სხდომის დღის წესრიგი და ნებისმიერი სხვა დამატებითი დოკუმენტი შესაძლებელია გაიგზავნოს ელექტრონული ფორმით;
- 2.6. „კომიტეტის“ სხდომის ოქმს ადგენს „მდივანი“ და „თავმჯდომარესთან“ ერთად ხელს აწერს მას. ინტერესთა კონფლიქტის ან ნებისმიერი სხვა გონივრული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, სხდომის ოქმის ხელმოწერის დელეგირება შესაძლებელია განხორციელდეს „კომიტეტის“ რომელიმე სხვა წევრზე;

3. „კომიტეტის“ ფუნქციები და ვალდებულებები

3.1. ნომინაციის საკითხები

- 3.1.1. „კომიტეტი“ რეგულარულად განიხილავს „მენეჯმენტისა“ და „სამეთვალყურეო საბჭოს“, ასევე „სამეთვალყურეო საბჭოს“ კომიტეტების სტრუქტურას, შემადგენლობასა და წევრთა რაოდენობის გონივრულობას, რა დროსაც კომიტეტების თავმჯდომარეებთან კონსულტაციის შედეგად ითვალისწინებს „მენეჯმენტისა“ და „სამეთვალყურეო საბჭოს“ მიერ გაწეული მუშაობის შეფასების შედეგებს;
- 3.1.2. „სამეთვალყურეო საბჭოს“ კომიტეტების შემადგენლობის შესახებ რეკომენდაციების შემუშავებისას, „კომიტეტი“ ითვალისწინებს „სამეთვალყურეო საბჭოს“ წევრების კომიტეტებში ერთდროული წევრობის სარგებლიანობას, ისევე როგორც კომიტეტების შემადგენლობის როტაციისა და განახლების მიზანშეწონილობას იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს ახალი ინიციატივების სტიმულირებას;
- 3.1.3. „კომიტეტი“ ანგარიშვალდებულია „სამეთვალყურეო საბჭოს“ წინაშე „სამეთვალყურეო საბჭოსა“ და „მენეჯმენტის“ წევრების მოძიების, მათი შესაძლო შესაბამისობის განსაზღვრისა და დანიშვნაზე/არჩევაზე უფლებამოსილი ორგანოსთვის წარდგენის პროცესის წარმართვასა და ზედამხედველობაზე;
- 3.1.4. „სამეთვალყურეო საბჭოს“ თავმჯდომარის მოთხოვნის საფუძველზე „კომიტეტი“ აფასებს „სამეთვალყურეო საბჭოში“ არსებული უნარების, გამოცდილების, დამოუკიდებლობის, პროფესიონალიზმისა და დივერსიფიცირებულობის ბალანსს და ამზადებს მოხსენებას „სამეთვალყურეო საბჭოს“ წევრად დასანიშნი შესაბამისი კანდიდატის როლისა და შესაძლებლობების შესახებ;
- 3.1.5. „კომიტეტი“ საკუთარი საქმიანობის ფარგლებში მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს „სამეთვალყურეო საბჭოს“ წევრებისა და „ბანკის“ სხვა მაღალი დონის მენეჯერების უფლებამონაცვლეობის საკითხს, რომლის ფარგლებშიც ითვალისწინებს „ბანკის“ წინაშე არსებულ გამოწვევებსა და პერსპექტივებს, ისევე როგორც ეფექტური საქმიანობისთვის საჭირო უნარებისა და ცოდნის არსებობა/არარსებობას;
- 3.1.6. „კომიტეტი“ განსაზღვრავს „სამეთვალყურეო საბჭოსა“ და „მენეჯმენტის“ თითოეული წევრის მიერ მათზე დაკისრებული მოვალეობების ობიექტური შეფასების კრიტერიუმებს, უზრუნველყოფს შეფასების ჩატარებას და ზედამხედველობას უწევს შეფასების შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების „სამეთვალყურეო საბჭოსთვის“ წარდგენას;

3.2. კორპორაციული მართვა

- 3.2.1. „კომიტეტი“ უზრუნველყოფს:

- i. „ბანკის“ კორპორაციული მართვის სახელმძღვანელო დოკუმენტების განხილვასა და მასში ცვლილებების შეტანას, ზედამხედველობას უწევს „ბანკის“ შესაბამისობას აღნიშნულ დოკუმენტებთან და საკუთარი შეხედულებისამებრ, რეკომენდაციებს აძლევს „სამეთვალყურეო საბჭოს“ შესაძლო ცვლილებების ან რაიმე დამატებითი ღონისძიების განხორციელების აუცილებლობის შესახებ;
- ii. განვითარებადი ტენდენციების მონიტორინგს, სამართლებრივი მექანიზმების განვითარების მხრივ გამოკვეთილ ინიციატივებსა და წინადადებებს, კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებულ საკითხებსა და კორპორაციული მართვის საუკეთესო პრაქტიკის მოძიებას იმ მიზნით, რომ შეაფასოს აღნიშნული ინიციატივების შესაძლო გავლენა „ბანკზე“ და „სამეთვალყურეო საბჭოს“ პერიოდულად წარუდგინოს შესაბამისი მოხსენებები;
- iii. „სამეთვალყურეო საბჭოსთან“, ასევე ბიზნესის წარმართვასა და ეთიკასთან დაკავშირებული პროცედურებისა და პოლიტიკების პერიოდულ განხილვას და მიმართავს „სამეთვალყურეო საბჭოს“ სათანადო ცვლილებების შესახებ, თუ ამას „კომიტეტი“ ჩათვლის საჭიროდ;
- iv. ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების კოდექსის დარღვევის გამოვლენის ან/და პრევენციის უფლებამოსილების განხორციელებისას შესაბამისობის სამსახურის ან აღნიშნული ფუნქციებისა და უფლებამოსილების მქონე სხვა სტრუქტურული ერთეულის (შემდგომში „შიდა სამსახური“) მიერ ჩატარებულ მოკვლევასა და გამოყენებულ დისციპლინურ სახდელთან ან სხვა სახის სანქციასთან დაკავშირებული საჩივრების მიღებას, განხილვას და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას;
- v. ზემოაღნიშნული ტიპის საჩივრის განხილვის შედეგად, „კომიტეტი“ იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
 - საკითხის განმეორებითი მოკვლევის შესახებ;
 - „შიდა სამსახურის“ მიერ მიღებული სადისციპლინო სახდელის ან სხვა სახის სანქციის ზომის შეცვლის შესახებ;
 - „შიდა სამსახურის“ მიერ მიღებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ;
 - „შიდა სამსახურის“ მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ;
 - „კომიტეტის“ უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული სხვა სახის გადაწყვეტილება, „ბანკის“ შიდა პროცედურებისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიღებული ეთიკის პრინციპებისა და პროფესიული ქცევის სტანდარტების კოდექსის, ისევე როგორც სხვა სათანადო რეგულაციების მოთხოვნების დაცვით;
- vi. „სამეთვალყურეო საბჭოსთვის“ პერიოდული ანგარიშგების წარდგენას დაკისრებული ფუნქციების შესრულებისა და გაწეული საქმიანობის შესახებ;
- vii. იმის შეფასებას, მიეწოდება თუ არა „სამეთვალყურეო საბჭოს“ „მენეჯმენტისგან“ ყველა აუცილებელი ინფორმაცია;
- viii. პროფესიონალ მრჩეველებთან ან/და დამოუკიდებელ ექსპერტებთან საქმიანი ურთიერთობის დამყარებას „ბანკის“ ხარჯზე და მათ მოწვევას „კომიტეტის“ სხდომაზე დასასწრებად;

- ix. ნებისმიერი სხვა საკითხის განხილვას, რომელიც სათანადოდ იქნა მიწოდებული „კომიტეტისთვის“ „სამეთვალყურეო საბჭოს“ ან მენეჯმენტის მიერ შემდგომის განხილვისა და რეკომენდაციებისთვის;
- x. „ბანკის“ კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ინფორმაციის განხილვასა და დადასტურებას, რომელიც „ბანკის“ მიერ გახდა საჯაროდ ხელმისაწვდომი, ან მიწოდებულ იქნა რომელიმე საჯარო ორგანოსთვის;
- xi. საკუთარი საქმიანობის ფარგლებში ყველა შესაბამისი სამართლებრივი ან/და საზედამხედველო რეგულაციების მოთხოვნების დაცვას და საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებას, ისევე როგორც მიღებული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე რისკებისა და რისკების მართვასთან დაკავშირებული შედეგების გავლენის იდენტიფიცირებას.

3.3. ინტერესთა კონფლიქტი

- 3.3.1. „კომიტეტი“ განიხილავს „ბანკსა“ და მის ადმინისტრატორებს შორის არსებულ ნებისმიერ ინტერესთა კონფლიქტს ან შესაძლო ინტერესთა კონფლიქტს, საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციებით დადგენილი წესების შესაბამისად;
- 3.3.2. „კომიტეტი“ რეკომენდაციას აძლევს „სამეთვალყურეო საბჭოს“ აღნიშნული ინტერესთა კონფლიქტის ავტორიზაციის მიზანშეწონილობის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, „კომიტეტი“ ასევე განსაზღვრავს იმ პირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც მიზანშეწონილია „სამეთვალყურეო საბჭოს“ მიერ აღნიშნული ინტერესთა კონფლიქტის ავტორიზაცია.

3.4. რეპორტი

- 3.4.1. „კომიტეტის“ ყოველი სხდომის შემდეგ „თავმჯდომარე“, „კომიტეტის“ უფლებამოსილებების ფარგლებში, „სამეთვალყურეო საბჭოს“ წარუდგენს მოხსენებას სხდომის მიმდინარეობის შესახებ;
- 3.4.2. „კომიტეტი“ უფლებამოსილია „სამეთვალყურეო საბჭოს“ წარუდგინოს რეკომენდაციები საკუთარი შეხედულებისამებრ, როგორც გასატარებელი ღონისძიების მიზანშეწონილობის, ისე დახვეწის/გაუმჯობესების შესახებ;
- 3.4.3. საჭიროების შემთხვევაში „კომიტეტი“ საკუთარ საქმიანობასა და „ბანკის“ კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე გამოსცემს რეპორტს, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნას „ბანკის“ ყოველწლიურ ანგარიშგებაში. რეპორტი ასევე უნდა მოიცავდეს „სამეთვალყურეო საბჭოს“ პოლიტიკას, რომელიც არეგულირებს დივერსიფიცირებულობას, მათ შორის სქესთა ბალანსის დაცვას, პოლიტიკის გასატარებლად დასახულ მიზნებსა და აღნიშნულ მიზნებთან მიმართებაში მიღწეულ შედეგებს.

4. სხვა საკითხები

- 4.1. „კომიტეტი“ ანგარიშვალდებულია „სამეთვალყურეო საბჭოს“ წინაშე და აძლევს მას რეკომენდაციებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ნებისმიერ სფეროში, სადაც „კომიტეტი“ ჩათვლის რომ არსებობს რაიმე ქმედების ჩატარების ან გაუმჯობესების საჭიროება;
- 4.2. „კომიტეტს“ უნდა გააჩნდეს საკმარისი რესურსი იმისთვის, რომ განახორციელოს დაკისრებული ვალდებულებები და საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში ზედამხედველობა გაუწიოს ქმედებების ინსპექტირების პროცესს;
- 4.3. „კომიტეტი“ უზრუნველყოფს საკუთარი საქმიანობის პერიოდული შეფასების ორგანიზებას;

- 4.4. „კომიტეტი“ უფლებამოსილია „სამეთვალყურეო საბჭოს“ მიერ ა) საკუთარი უფლებამოსილების შესასრულებლად მოიძიოს და გამოითხოვოს „ბანკის“ ნებისმიერი თანამშრომლისგან ნებისმიერი სახის ინფორმაცია; ბ) „ბანკის“ ხარჯზე მიიღოს კონსულტაცია ნებისმიერ პირისგან როგორც ამას „კომიტეტი“ ჩათვლის საჭიროდ, მათ შორის სამართლებრივი ან სხვა სახის პროფესიული კონსულტაცია გარე წყაროსგან ნებისმიერ საკითხზე; გ) მოიწვიოს და გამოკითხოს „კომიტეტის“ სხდომაზე „ბანკის“ ნებისმიერი თანამშრომელი, როდესაც „კომიტეტი“ ამას ჩათვლის საჭიროდ; დ) განახორციელოს საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი დელეგირება, ასევე საკუთარი შეხედულებისამებრ ჩამოაყალიბოს ქვეკომიტეტები.